ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N10

ქ.თბილისი

6 მაისი, 2022 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
ლევან დავითაშვილი
კონსტანტინე ზარნაძე
ზაზა თავაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
გურამ ოქროპირიძე
ალექსანდრე რატიშვილი
რევაზ სოხაძე
დავით ფარცვანია
გიორგი ჩაკვეტაძე
გივი ჩხარტიშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
ოთარ გრიგოლია
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ცოტნე კობერიძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ვიქტორ წილოსანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის უფროსი თემურ ბოლოთაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

შალვა ოგბაიძემ ისაუბრა საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებულ ე.წ. „ბრალდებაზე" და აღნიშნა, რომ ეს არის საზოგადოებრივი აზრის არასწორი ფორმირება მისი და მისი კოლეგების მიმართ. განაცხადა, რომ თუ რაიმე დანაშაული მიუძღვის, მზად არის პასუხი აგოს, მაგრამ ის, რომ, თითქოს მან დეკლარაციაში არ შეიტანა ქონება, სიმართლეს არ შეესაბამება, რისი დასტურიც არის სასამართლოს აღსრულების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ხსენებული ქონება 2009 წელს გაიყიდა აუქციონზე და როდესაც საერთაშორისო გამჭვირვალობა ამაზე აპელირებს, იმისთვისაც უნდა მიექცია ყურადღება, რომ საწარმო აღარ ფუნქციონირებს. მართალია, იქვე დასძენს, რომ თუ საწარმო არ ფუნქციონირებს ექვსი წელი, დარღვევად აღარ ითვლება, მაგრამ მაინც ამბობს, რომ ეს არის დარღვევა და აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი დისკრედიტაციისკენ მიმართული ქმედება. განაცხადა, რომ არ შეიძლება ცალმხრივად, ხელაღებით, ტალახის სროლა და ადამიანების დადანაშაულება იმაში, რაც დანაშაულად არ ითვლება და იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო გამჭვირვალობა ბოდიშს მოიხდის.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, ნაცვლად იმისა, რომ ესწრებოდნენ საკრებულოს სხდომას, იმყოფებიან რუსთავში, პენიტენციურ დაწესებულებასთან და აპროტესტებენ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას და მიმართა მათ - „სააკაშვილი იქნება ჯანმრთელად, სააკაშვილი იცოცხლებს დიდხანს, სააკაშვილი მოიხდის სასჯელს ბოლო წამამდე. თქვენ კი, დაბრუნდით სამუშაო რეჟიმში, ჩაერთეთ საკრებულოს მუშაობაში, კომისიებში, სხდომაზე და გაითვალისწინეთ თქვენი ამომრჩევლების ინტერესები".

რევაზ სოხაძემ ისაუბრა ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამაზე და აღნიშნა, რომ ეს არის თბილისისთვის ისტორიული გადაწყვეტილება, რადგან ეს პრობლემა ბოლო 30 წლის განმავლობაში განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენს ქალაქში და ვერავინ გაბედა მასთან დაკავშირებით რეალური ნაბიჯების გადადგმა. მისი თქმით, ბედნიერია, რომ არის იმ გუნდის წევრი, რომელმაც, კახა კალაძის მერობის პერიოდში, დაძრა ეს თემა და დაიწყო პროგრამის განხორციელება. მისი თქმით, ამ მიმართულებით უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და მიმდინარე სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების წესი, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. აქვე აღნიშნა, რომ ავარიული კორპუსების კუთხით, განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა სამგორის რაიონში, სადაც მოსახლეობა მოუთმენლად ელოდება ამ პროგრამის დაწყებას და იმედი გამოთქვა, რომ მალე, ძალიან დიდი ტემპით დაიწყება პროექტის განხორციელება. მისი თქმით, თბილისის 2022 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით გამოყოფილია საკმაოდ სოლიდური თანხა, რაც მომავალ წლებში კიდევ უფრო გაიზრდება და გარკვეული პერიოდის შემდეგ, თბილისში ეს პრობლემა სამუდამოდ მოგვარდება. რევაზ სოხაძემ ასევე, ისაუბრა სხვადასხვა სერვისების განმახორციელებელ პროვაიდერებთან ურთიერთობაზე და აღნიშნა, რომ თბილისში საქალქო მეურნეობის გამართული მუშაობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მუნიციპალიტეტზე, არამედ, ასევე პროვაიდერებზე, თუმცა, სამწუხაროდ, ამ კომპანიების მიერ შექმნილი პრობლემების გამო, მოსახლეობისგან საყვედურების მოსმენა და მათ სამართლიან გულისწყრომაზე პასუხის გაცემა უწევს მუნიციპალიტეტს. მისი თქმით, „თელასმა", რომელიც ათეული წლებია უკვე კერძო კომპანიაა, დღემდე ვერ მოახერხა განეხორციელებინა საკუთარი ქსელის ინვენტარიზაცია და არ იცის სად გადის მისი კაბელები. მისი თქმით, ამ კომპანიის ფუნქცია მხოლოდ ფულის შოვნა არ არის და კარგი იქნება, საკრებულოს შესაბამისი კომისიის ფორმატში დავნიშნოთ შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლებთან და გავარკვიოთ რისი ვალდებულება გააჩნია მას და რისი არა.

მარიამ ზაქარიაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი ერთ-ერთი საკითხი ეხება მრავალშვილიანი ოჯახების წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მათგანისთვის. აღნიშნა, რომ უკვე არსებობს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, სწავლის საფასური უფინანსდებათ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, ხოლო წარჩინებულ მაგისტრებს ეძლევათ სტიპენდია. ამ პროგრამის ბიუჯეტი გაორმაგდა 2021 წელს და საერთო ჯამში 3650 სტუდენტს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა. მისი თქმით, განათლების ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია და ძალიან კარგია, რომ კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას ექნება შესაძლებლობა მიიღოს ცოდნა და ჩამოყალიბდეს პროფესიონალად.

დავით ფარცვანიამ ისაუბრა თბილისში საცობების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო დაპირებების დიდი ნაწილი, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო ტრანსპორტის მიმართულებით და გარკვეულწილად შეემსუბუქებინა არსებული მდგომარეობა, არ შესრულდა. მათ შორის, მარშალ გელოვანის და სამტრედიის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის პროექტი და დაინტერესდა, რას აპირებს მუნიციპალიტეტი ამასთან დაკავშირებით. ასევე, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა, რომელიც დაიწყო, თუმცა, ორი კვირაა არ სრულდება სამუშაოები და დაინტერესდა რამ გამოიწვია სამუშაოების შეჩერება და რა ეტაპზეა პროექტი. ასევე, საინტერესოა, რას ვფიქრობთ იმ საარჩევნო დაპირებებზე, რომ შეგვესწავლა სამგორი-აეროპორტის და დიდუბე-დიდი დიღმის მეტროს ხაზის თემა. დავით ფარცვანიას თქმით, დაპირებების შესრულების ნაცვლად, ვხედავთ თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის ნაყიდ მიკროავტობუსებს, რომელთა მოლოდინშიც უსაშველო რიგებია და ამას ვეძახით სატრანსპორტო რეფორმას. მან ასევე, ისაუბრა თბილისის სხვადასხვა უბნებში არსებულ ლოკალურ პრობლემებზე, მაგალითისთვის სხდომაზე წარადგინა მუხიანის IV მიკრორაიონში, მე-6 კორპუსის მიმდებარედ არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა და მიმართა კონსტანტინე ზარნაძეს, რომ ერთად მოაგვარონ აღნიშნული პრობლემა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი გაკეთებულია, იქიდან გამომდინარე, რომ არ ვუვლით, ასევე, პრობლემაა აღმაშენებლის გამზირზეც, რომელიც ერთ-ერთი ტურისტული ცენრია და აღნიშნა, რომ ზოგადად, კარგი იქნება, თუ თბილისს, რაიონების მიხედვით, ექნება ტურიზმის განვითარების გეგმა, რაც ხელს შეუწყობს, ტურიზმის სწორ და სისტემურ განვითარებას. დავით ფარცვანიამ ასევე, აღნიშნა, რომ „განათლების ქალაქის" ტერიტორიაზე, „მეგა სკოლის" წინ, ყოველ დილას, 9-ის ნახევრიდან 9 საათამდე, არის საცობი და შალვა ოგბაიძეს მიმართა თხოვნით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე შემუშავებული იქნას ტროტუარის ფორმატი, რათა ბევრი მანქანის გადაადგილების გამო, ბავშვებისთვის არ დადგეს საფრთხე. აქვე აღნიშნა, რომ წერეთლის ქ.N134-ში უნდა აშენებულიყო მედია ხელოვნების კოლეჯი, რომლის პროექტირება დასრულებულია, თუმცა ტენდერი არ გამოცხადებულა და მიმართა გივი ჩხარტიშვილს, დანიშნონ შეხვედრა განათლების მინისტრთან და ისაუბრონ ერთობლივი ტენდერის გამოცხადებაზე. საუბრის ბოლოს, დავით ფარცვანიამ გააჟღერა ინფორმაცია, რომ მათი აქტიური მხარდამჭერი, ნოდარ ავდალიანი, ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორმა, თანამდებობიდან გაათავისუფლა პოლიტიკური ნიშნით, რისი დასტურიც არის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, უკანონოდ იქნა ცნობილი სააგენტოს დირექტორის ბრძანება და იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდება და ზოგადად, აჯობებს მივხედოთ საქმეს და არ დავკავდეთ ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, დავით ავდალიანი საკმაოდ დიდი ხანია მუშაობს ბაგა-ბაღების სააგენტოში და სანამ ის გაწევრიანდებოდა პარტიაში „საქართველოსთვის", მანამდეც ჰქონდა სამსახურიდან წასვლის სურვილი და თუ გადავხედავთ მის მოტივაციას და ყოველდღიურ ჩართულობას თავისი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაში, ყველა შევთანხმდებით, რომ ეს არ არის პოლიტიკური ნიშნით დევნა.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ ბოლო კვირის განმავლობაში, ტრანსპორტის მიმართულებით გაკეთდა არაერთი განცხადება, მათ შორის თბილისის მთავრობის სხდომაზეც, თუმცა, პრობლემა პრობლემად რჩება. მისი თქმით, ყველას გვახსოვს, რომ კახა კალაძის დედაქალაქის ხელისუფლებაში მოსვლის მომენტიდან დღემდე, დედაქალაქის მიერ ნასესხები იქნა 980000000 ლარამდე თანხა, რომლის დიდი ნაწილი მიმართული იყო სწორედ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე და გვახსოვს ისიც, რომ წელი დაიწყო მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის ფასის გაძვირებით. აღსანიშნავია ასევე, რომ დედაქალაქმა, შემდგომი გამოსყიდვის უფლებით, კერძო კომპანიას შეუძინა მიკროავტობუსები, რომლითაც გადაადგილდებიან თბილისელები, თუმცა, საბოლოო ჯამში, მივიღეთ ის, რომ მაშინ, როდესაც ადამიანები ფეხზე არ დგანან სამარშრუტო ტაქსებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებთან დგას უზარმაზარი რიგები და კოლოსალური თანხის დახარჯვის მიუხედავად, ვერ მოვაწესრიგეთ დედაქალაქში ამ მიმართულებით არსებული ძალიან სერიოზული პრობლემა. საბა ბუაძის თმით, ეს ხდება იმიტომ, რომ კახა კალაძე არ არის თბილისელების მეგობარი და ის არის დეველოპერების მეგობარი, რასაც ადასტურებს თუნდაც მიმდინარე სხდომაზე გამოტანილი საკითხი, რომლის თანახმადაც სამშენებლო კოეფიციენტში აღარ შევა აივნების ფართი, რაც დეველოპერებს აძლევს დამატებით ასეულობით ათასი დოლარის შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. მისი თქმით, აღნიშნული არის სამშენებლო სექტორის წახალისება, რაც ნამდვილად აღარ სჭირდება ისედაც ზესტიმულირებულ ბიზნესს. ის, რომ კახა კალაძე ვერ აგვარებს ტრანსპორტის პრობლემას, ცხადია, რადგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, გვესმის უამრავი პრობლემა და გულისტკივილი ამ მიმართულებით - საბურთალოდან ვერ გადაადგილდები ნამალადევში, ვაშლიჯვარში გაუქმდა ორი სამარშრუტო ხაზი, ასევე, გაუქმდა საბურთალოდან ვარკეთილში მიმავალი მარშრუტი და სხვა მრავალი პრობლემა, რომელიც ძალიან მწვავედ აწუხებს საზოგადოებას. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ნაცვლად იმისა, დედაქალაქის ხელისუფლების ძალისხმევა მიმართული იყოს ამ მიმართუყლებით, პრობლემა არ გვარდება და ეს არის ცუდი მართვის, მათ შორის, გულგრილობის და კორუფციის ნაზავი.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ის თანხა რაც დაიხარჯა სატრანსპორტო რეფორმის კუთხით, ჩვენი ქალაქისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და დაიხარჯა სწორი მიმართულებით. რაც შეეხება ადამიანების უკმაყოფილებას, ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ ასევე, ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციაზეც, თუმცა, ჩვენ თუ გვაქვს ამბიცია, რომ ქალაქი სწორედ განვითარდეს, უნდა მივიღოთ მსგავსი გადაწყვეტილებები და შევთანხმდეთ, რომ გარკვეულ მათგანს შესაძლებელია მოჰყვეს ჩვენი თანამოქალაქეების დისკომფორტი, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამ გადაწყვეტილებებს ალტერნატივა არ აქვს.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ ტრანსპორტის რეფორმა პირდაპირ კავშირშია საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან, რომლებსაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ მოსახლეობასთან და აღნიშნა, რომ რეფორმის დაწყებას, მის სამაჟორიტარო ოლქში, თან ახლდა გარკვეული პრობლემები იქიდან გამომდინარე, რომ ის არის ახალი და საჭიროებს მუდმივ მუშაობას. შესაბამისად, ყველა მაჟორიტარი აქტიურად თანამშრომლობს ტრანსპორტის სამსახურის წარმომადგენლებთან, რათა განხორციელდეს მეტი დადებითი ცვლილება, რის შედეგადაც გლდანის რაიონში, დღეის მდგომარეობით, შედარებით გამოსწორებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით არსებული პრობლემები. მისი თქმით, სატრანსპორტო რეფორმა გაიმართება მაშინ, როდესაც თბილისში შემოვა 18 მეტრიანი ავტობუსები, რაც, სამწუხაროდ, პანდემიის გამო, ვერ მოხერხდა ამ დრომდე. კონსტანტინე ზარნაძე გამოეხმაურა კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართიდან აივნების ფართის ამოღებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, ეს არ არის შეღავათები კონკრეტული დეველოპერების მიმართ, აღნიშნული ეხება ყველა დეველოპერს და განპირობებულია იმით, რომ რეგიონში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის დიდი რაოდენობა შემოდის უკრაინიდან, ვცდილობთ შევამსუბუქოთ დეველოპერების მიმართ მიდგომა, რათა

არ გაურთულოთ მათ სამუშაოს შესრულება. კონსტანტინე ზარნაძემ ასევე, ისაუბრა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი არაერთი დადებითი საკითხი, თუმცა, აუცილებლად უნდა გააჟღეროს მის სამაჟორიტარო ოლქში მიუსაფარი ძაღლების მიმართულებით არსებული პრობლემა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გლდანში მცხოვრები მოქალაქეებისთვის. მისი თქმით, ცხოველთა მონისტორინგის სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს პრობლემის მოგვარებაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა არ არის შესაბამისად დახვეწილი, რათა მოხდეს აღსრულება და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პარლამენტში, სადაც მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა, მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოხდება საკითხის განხილვა და მიღებული იქნება კანონპროექტი, რის შემდეგაც დარეგულირდება და გადაიჭრება მთელი რიგი პრობლემები.

გივი ჩხარტიშვილი გამოეხმაურა დავით ფარცვანიას გამოსვლას და განმარტებები გააკეთა იმ განცხადებებზე, რომლებიც ეხებოდა მის სამაჟორიტარო ოლქში არსებულ პრობლემებს. მარშალ გელოვანის და სამტრედიის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დაკვირვების პროცესი, თუ რა შედეგს მოიტანს მაჭავარიანი-გელოვანის გზის ახალი მონაკვეთის პროექტი და აქედან გამომდინარე, თუ საჭირო იქნება, მოსახლეობასთან კომუნიკაციით და მათი ინტერესების გათვალისწინებით, პროექტი განხორციელდება. რაც შეეხება წერეთლის ქ.N134-ის ტერიტორიას, სადაც განთავსებული იყო ხელოვნების სკოლა, განაცხადა, რომ განხორციელდა არსებული შენობის დემონტაჟი და დაგეგმილია მულტიფუნქციური სპორტული კომლექსის მშენებლობა. აქვე, განაცხადა, რომ ორიენტირებულია, დიდუბის რაიონში, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს, როგორც გარემოს, ასევე, ურბანული მიმართულებით, გაჩნდეს ბევრი მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტი და რეკრეაციული სივრცე და მზად არის ამ კუთხით ითანამშრომლოს ნებისმიერ სამსახურთან. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ დისკომფორტს უქმნის და ეუხერხულება „ნაციონალური მოძრაობის და მისი შვილობილი პარტიების“ მხრიდან მორალზე და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი“.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ 25 წლის განმავლობაში, 2017 წლამდე, სანამ კახა კალაძე გახდებოდა თბილისის მერი, ყველა ხელისუფლება აკეთებდა ისე, რომ დედაქალაქში მოეკლა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და შედეგად, თბილისში, რეალურად, საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არსებობდა. ხოლო მეხუთე წელია, ამ მიმართულებით ნაბიჯ-ნაბიჯ უმჯობესდება მდგომარეობა და ძალიან მალე, ყველა ვნახავთ შედეგებს, თუმცა ეს ვერ იქნება 1-2 წელიწადში. კახაბერ ლაბუჩიძე ასევე, გამოეხმაურა მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის დაფინანსების საკითხს და განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებით, დიდ დახმარებას გავუწევთ და გავახარებთ უამრავ ოჯახს და ძალიან ბევრ ადამიანს.

ცოტნე კობერიძის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე სხდომას არ ესწრებიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, ჰქონდა მოლოდინი, რომ სხდომაზე არ იქნებოდა ისეთი ტიპის საუბრები, როგორიცაა - „როგორ კადრულობენ, რომ ვიღაცამ მორალზე მიუთითოს“ და აღარ იქნებოდა წინა წლების მოგონებები, მაგრამ როგორც ჩანს, მათი სხდომაზე ყოფნა არ არის საჭირო იმისთვის, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა ამ ჟანრში გადაიტანონ საუბარი. ცოტნე კობერიძემ ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ შინაარსშივე არ ეთანხმება იმ კონცეფციას, რომ მუნიციპალიტეტი ცდილობს ხელოვნურად შეცვალოს ტრანსპორტზე მოთხოვნა და ადამიანები აიძულოს კერძო ტრანსპორტიდან გადავიდნენ საჯარო ტრანსპორტზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ მუნიციპალიტეტის მიდგომაა არა ის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს ისეთი მიმზიდველი, რომ თავად ადამიანებს მოუნდეთ სარგებლობა, არამედ ის, რომ მანქანით სიარული გახდეს უფრო და უფრო მეტად რთული. ასევე, გამოეხმაურა განცხადებას, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით მდგომარეობა 25 წლის განმავლობაში უარესდებოდა, ხოლო ბოლო 5 წელია უმჯობესდება და განაცხადა, რომ ეს განცხადება არის

ყოფილი მერისადმი ბრალდება და თუ დავით ნარმანია შეგნებულად ანადგურებდა სატრანსპორტო პოლიტიკას, მაშინ პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ყველა იმ ადამიანმა, ვინც მაშინდელ თბილისის მთავრობას უჭერდა მხარს. აქვე, ისაუბრა ტაქსებზე, აღნიშნა, რომ ბოლო დღეებში საგრძნობლად გაიზარდა ტაქსით მომსახურების საფასური და განაცხადა, რომ დღეს ამ ბაზარზე შესვლა არის გართულებული, რასაც დღევანდელი ხელისუფლება კიდევ უფრო ართულებს და შესაბამისად, კიდევ უფრო გაძვირდება ტაქსით მომსახურების სერვისი, თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები იტყვიან, რომ „რეფორმებს თავისი ფასი აქვს, რომ უნდა გავუძლოთ, უნდა მოვითმინოთ, რომ არის მცირეოდენი პრობლემები და ესე ვიცხოვრებთ".

ზურაბ აბაშიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სხდომას არ ესწრებიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, სამწუხაროდ, მაინც ვისმენთ უსაფუძვლო ბრალდებებს, რომლებიც არაფრით არ არის გამყარებული, მათ შორის კორუფციულ ბრალდებებს და იმას, თითქოს ჩვენ ხელს ვუწყობთ კორუფციის გაღვივებას და ვიღებთ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გარკვეულ სამშენებლო კომპანიებს ანიჭებს პრივილეგიებს. თუმცა, ეს ასე არ არის, რადგან წარმოდგენილი ცვლილება ეხება არა კონკრეტულად რომელიმე სამშენებლო კომპანიას, არამედ ამ სფეროში მოღვაწე ყველა კომპანიას და ის გადაწყვეტილება, რომელიც საკრებულომ უნდა მიიღოს, ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ სამშენებლო ბიზნესის ხელშეწყობას და უფრო მეტად განვითარებას.

ვახტანგ სურგულაძის თქმით, ისიც ფიქრობდა, რომ დღევანდელ სხდომაზე არ იქნებოდა პოლიტიკური დებატები, თუმცა, როგორც ჩანს, საკრებულოს უმრავლესობას არ სჭირდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" იმისთვის, რომ „დაიწყოს ჩხუბი და აყალ-მაყალი", რაც გამოიხატება იმაში, რომ გაკეთდა განცხადებები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ესწრებიან დღევანდელ სხდომას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, იყო საუბარი „შვილობილ პარტიებზე" და იმაზე თუ რა დაწერა საერთაშორისო გამჭვირვალობამ და ა.შ. მისი თქმით, ამ თემებზე საუბარს, აჯობებს ვისაუბროთ იმაზე, რომ მთელ ევროპაში, ერთ-ერთ ყველაზე ბინძურ ქალაქში ვცხოვრობთ, იმაზე, თუ რა ხდება დედაქალაქში სატრანსპორტო საცობების მიმართულებით და ქალაქში არსებულ რეალურ პრობლემებზე და ვიმუშაოთ მათ მოგვარებაზე.

გიორგი შარაშიძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა პარტიის „საქართველოსთვის" პოზიცია, საქართველოს ევროინტეგრაციის ისტორიულ პროცესთან დაკავშირებით და ევროკავშირის მიმართ გააკეთა მოწოდება, რომ საქართველოს მიანიჭოს კანდიდატი წევრის სტატუსი და ამავდროულად, მოუწოდა ყველა პოლიტიკურ ძალას, შეუერთდნენ ამ მოწოდებას. მისი თქმით, დღეს, ისე, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ერთიანობა და ერთობლივი ძალისხმევის მიმართვა იმ დიდი და ისტორიული მიზნისკენ, რასაც ჰქვია საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაცია, რაც, პირდაპირი გაგებით, ნიშნავს საქართველოს თავისუფალ და მშვიდობიან მომავალს. გიორგი შარაშიძე გამოეხმაურა „ქართული ოცნების" მიერ საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა მოხდება არა ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების მიერ, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და განაცხადა, რომ აღნიშნული არის პირდაპირი მცდელობა იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ" თავის ინტერესებზე მოირგოს კანონი, რითიც, მისი აზრით, გადადგამს საკმაოდ ანტიდემოკრატიულ და ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს და მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრებს, მხარი არ დაუჭირონ აღნიშნულ კანონპროექტს.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი ლოგიკური ცვლილებაა, რადგან მოსახლეობის მხრიდან გამოხატული მხარდაჭერის შემდგომ, არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს მაჟორიტარული თუ პროპორციული სისტემით არჩეული წევრი, არსებობს თეორიული შესაძლებლობა იმისა, რომ საკრებულომ არ ცნოს მისი უფლებამოსილება და ამით ხელოვნურად გამოიწვიოს კრიზისი.

ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა საბა ბუაძის განცხადებას, რომ კახა კალაძე არის დეველოპერების მეგობარი და განაცხადა, რომ კახა კალაძე არაფერ შუაშია, რადგან დეველოპერებს შეხვდნენ საკრებულოს უმრავლესობის წევრები, გაიზიარეს მათი არგუმენტები და მოლაპარაკებების შედეგად, მიიღეს გადაწყვეტილება. ასევე, გამოეხმაურა სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებს და განაცხადა, რომ კოლეგების საუბრები და განხილვები სატრანსპორტო რეფორმასთან მიმართებაში არის არაკვალიფიციური, რადგან ამ საკითხს სჭირდება გარკვეული ცოდნა და გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, საკრებულოს წევრებმა, ტრანსპორტის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, კიდევ ერთხელ გაიარონ ამ რეფორმის დეტალები, რათა შემდგომში აღარ დაისვას კითხვები, თუ რატომ გაუქმდა ესა თუ ის ხაზი და ა.შ.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ საკრებულო არის პოლიტიკური ორგანო და შესაბამისად, გავაკეთებთ პოლიტიკურ განცხადებებს და ვუპასუხებთ იმ ცრუ ბრალდებებს, რომლებიც არის ტენდენციური და არასწორი. ასევე, არ გამოვა ის, რომ საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრებმა უმრავლესობის წევრების მიმართ გააჟღერონ კორუფციასთან დაკავშირებული დაუსაბუთებელი ბრალდებები და ამაზე არაფერი ვუპასუხოთ უმრავლესობის წევრებმა. მისი თქმით, ოპოზიცია კორუფციას უწოდებს იმას, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში მიღებული იქნა ისტორიულად მნიშვნელოვანი გენერალური გეგმა, აბსოლუტურად ჩანაცვლდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, აიკრძალა სამშენებლო კოეფიციენტების გადამეტება და დასრულდა ქაოტური განაშენიანება. მაგრამ, კორუფცია ვერ იქნება ის, რომ ქალაქი გადავიდა განვითარების ისტორიულ მასშტაბზე, რისი მთავარი საწყისიც იყო კახა კალაძის და დღევანდელი ხელისუფლების შემადგენლობის მიერ, 2017 წლიდან განხორციელებული ყველა რეფორმა და ასევე, 2014-2017 წლებში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმები. განაცხადა, რომ ნებისმიერი ის მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ჩვენს ქალაქში დაიწყო და გაგრძელდება, განსაკუთრებით სატრანსპორტო მიმართულებით, ემსახურება ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობას, რისი კიდევ ერთი დასტურია მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი საკითხი, რომელიც ეხება მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას და მადლობა გადაუხადა, როგორც ამ პროექტის ინიციატორებს, ასევე ყველას, ვინც ჩართული იყო მისი შემუშავების პროცესში.

გურამ ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებისგან რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევაზე ერთობლივად მუშაობის სურვილის გამოხატვა მისასალმებელია და როდესაც მსგავს განცხადებებში მთავარი მოტივაცია არის დედაქალაქის ინტერესები, საკრებულოს წვრებს, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, უნდა შეეძლოთ კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში მუშაობა. იგი გამოეხმაურა სხდომაზე გაჟრებულ რამდენიმე საკითხს და განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება იმას, თითქოს სამშენებლო სექტორში განსახორციელებელი ცვლილება რაიმე კავშირშია კორუფციასთან, რადგან თუ გადავხედავთ გლობალურ ბაზარს, ვნახავთ, რომ სამშენებლო სექტორში სხვადასხვა მასალები 3-4-ჯერ არის გაძვირებული. აღნიშნული გამოიწვია როგორც რუსულმა აგრესიამ უკრაინაში, ასევე, კოვიდპანდემიამ, რის შედეგადაც, ბოლო პერიოდში, მშენებარე ან აშენებული ბინების ფასმა მოიმატა 30-40%-ით და საბოლოო ჯამში, ეს ტვირთი ჩვენს მოსახლეობას აწვება. მისი თქმით, ამ დროს, როგორც სახელმწიფოს, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების მოვალეობაა გაითვალისწინოს მოსახლეობის ინტერესები, რაც გამოიხატება მსგავსი შეღავათების დაწესებაში, რათა მოხდეს ფასების ფიქსაცია. მისი თქმით, თითოეულ ჩვენგანს ურჩევნია, თბილისში იყოს 4-5 სართულიანი კორპუსები და არა 20-25 სართულიანი, უზარმაზარი მშენებლობები, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გავითვალისწინოთ ორი მთავარი ფაქტორი: ერთი, სოციალური, როდესაც უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის ინტერესები და მეორე, მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ დედაქალაქის ინტერესი და არ დავაზიანოთ მისი იერსახე. გურამ ოქროპირიძემ ასევე, ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტისთვის მთავარი პრიორიტეტია ქვეითად მოსიარულე და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე ადამიანები და სწორედ მათ კომფორტულ

გადაადგილებას ემსახურება ტრანსპორტის მიმართულებით ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები.

ლევან ჟორჟოლიანი გამოეხმაურა სხდომაზე გაჟღერებულ რამდენიმე საკითხს და საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტზე აღნიშნა, რომ არასწორია, კონკრეტული პიროვნება აირჩიოს ათიათასობით ადამიანმა და შემდეგ, რომელიმე კონკრეტულმა პარტიამ, ხელოვნურად გაუჩეროს მას ხალხის მიერ მინიჭებული უფლებამოსილება და ფიქრობს, რომ ხსენებული კანონპროექტი შემუშავებული იქნა სწორედ ამის პრევენციის მიზნით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშზე განაცხადა, რომ ამ ანგარიშში, საკმაოდ არასამართლიანად, მოხვდნენ ოპოზიციონერი კოლეგებიც, რომელთა სამეწარმეო საქმიანობას საერთაშორისო გამჭვირვალობამ არასწორი უწოდა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი არ არიან თანამდებობის პირები, აქვთ აღნიშნული საქმიანობის უფლება. თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის მიკროავტობუსების შეძენაზე განმარტა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით: მძღოლები დადიოდნენ დიდი სისწრაფით, რათა აეყვანათ რაც შეიძლება მეტი მგზავრი და ყველანაირად ცდილობდნენ გადაესწროთ კონკურენტისთვის; არავინ რთავდა კონდიციონერს და გათბობას; მძღოლები ეწეოდნენ სიგარეტს, რაც მგზავრებისთვის იყო დისკომფორტი. მისი თქმით, დღეს, ეს ყველაფერი მოგვარდა და მიკროავტობუსით მგზავრობა გახდა გაცილებით უსაფრთხო და კომფორტული, რაშიც მუნიციპალიტეტმა გადაიხადა ფული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო კომპანია, თავადაც ჩაანაცვლებდა მიკროავტობუსებს, მგზავრობის საფასურის გაზრდის ხარჯზე, რაც ტვირთად დააწვებოდა მოსახლეობას. ტაქსით მომსახურების საფასურის გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ლიცენზიისთვის დაწესებული წლიური 100 ლარიანი მოსაკრებელი და უფასოდ მანქანის გადაღებვა ვერ გაამვირებს სერვისს და ტაქსით სარგებლობის სერვისი გამვირდა არა რეგულაციების დაწესების გამო, არამედ იმიტომ, რომ ზოგადად, სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, გამვირდა სხვა რაღაცებიც.

ვიქტორ წილოსანმა უპასუხა საკრებულოს სხდომაზე ტრანსპორტის მიმართულებით დასმულ შეკითხვებს და განმარტა, რომ უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის ვადა არის ორი წელი, აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყო შარშან და შესაბამისად, ვადები არ ირღვევა. მიკროავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არ არის მერიის მხრიდან კერძო კომპანიის დახმარება, ეს არის მოქალაქეების კომფორტისთვის გადადგმული ნაბიჯი. კომპანიას გააჩნდა იმის რეზერვი, რომ გამოისყიდდა მიკროავტობუსებს, რაც უკვე მოხდა რეფინანსირების გათვალისწინებით. მისი თქმით, არასწორია განცხადება, რომ მუნიციპალიტეტი აიძულებს ადამიანებს გადავიდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე, რადგან ქალაქს გააჩნია კონკრეტული ურბანული სივრცე და ადამიანებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ ყველას ჰქონდეს უსაფრთხო გადაადგილების თანაბარი საშუალება და თავად გადაწყვიტონ, რითი გადაადგილდნენ. სამწუხაროდ, თბილისში არსებობდა მანკიერი პრაქტიკა, რომ არა მხოლოდ ქუჩები, არამედ შენობების მშენებლობაც ორიენტირებული იყო მხოლოდ ავტომობილებზე და ამის შესაცვლელად, მუნიციპალიტეტმა გაატარა ბევრი რეფორმა. გამოეხმაურა ვაშლიჯვარში ავტობუსის გაუქმებასთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინფორმაციას და აღნიშნა, რომ ის ავტობუსი დადიოდა 70 წუთიანი ინტერვალით, რაც არ ჯდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის გრაფიკში, ხოლო დღეის მდგომარეობით, იგივე მარშრუტზე, 9 წუთში ერთხელ, დადის მიკროავტობუსი და ზოგადად, ავტობუსის ან მიკროავტობუსის არცერთი მარშრუტი არ გაუქმებულა გაცილებით უკეთესი ალტერნატივის გარეშე. რაც შეეხება გადაჯდომის ნაწილს, სადაც არსებობს გარკვეული ტიპის უკმაყოფილება, განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ტაქსის ფუნქციას არ ასრულებს არცერთ განვითარებულ ქალაქში და, რა თქმა უნდა, არის და იქნება ისეთი მარშრუტები, სადაც საჭიროა გადაჯდომა. ვიქტორ წილოსანმა განაცხადა, რომ ჩვენ გვაქვს იერარქიული საზოგადოებრივი ტრანსპორტი - გვექნება ათი ძირითადი დერეფანი, სადაც იმოძრავებს 18 მეტრიანი ავტობუსები; ასევე, გვექნება ე.წ. „სითი

ლაინები“, სადაც იმოძრავებს 8, 10 და 12 მეტრიანი ავრობუსები და იქნება ძირითადი დერეფნის მკვებავი; ხოლო მოკლე მანძილებზე იმოძრავებს მიკროავტობუსები, რომლებიც იქნება დანარჩენი ხაზების მკვებავი. აქედან გამომდინარე, თბილისის გარეუბნებში საჭირო იქნება შედარებით მეტი გადაჯდომა, თუმცა, ესეც ურბანული პოლიტიკის ნაწილია, რომ ქალაქი განვითარდეს არა მხოლოდ ერთი ცენტრის ირგვლივ, არამედ არსებობდეს ბევრი ცენტრი, რათა სოციალური ინფრასტრუქტურა რაც შეიძლება ახლოს იყოს ადამიანებთან. ვიქტორ წილოსანმა აღნიშნა, რომ კოვიდრეგულაციების შემსუბუქებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოიხსნა წინ დაჯდომის შეზღუდვა, თუმცა მიკროავტობუსებში აკრძალულია ფეხზე დგომა, რისი მონიტორინგიც ხორციელდება ყველა სამარშრუტო ხაზზე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ არავის აქვს იმის ილუზია, თითქოს ტრანსპორტის მიმართულებით ყველაფერი კარგადაა და პრობლემა, არსად არ არსებობს, თუმცა აღსანიშნავია, რომ სამსახური მუშაობს ამ მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. მისი თქმით, ამ კუთხით, საკმაოდ დიდი პრობლემებია, ლილოს დასახლებაში, მოსკოვის გამზირზე და დიდ დიღომში, რომელთა აღმოფხვრას ხელს შეუწყობს ავტობუსის სავალი ზოლების გაჩენა და ქალაქში 18 მეტრიანი ავტობუსების შემოყვანა. ასევე, მეტ-ნაკლებად პრობლემურია გლდანის რაიონი, ხოლო დანარჩენ უბნებში, პრობლემები ძირითადად მოგვარებულია.

დავით ფარცვანიამ მიკროავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „უყიდეს“ არის სწორი ტერმინი, რადგან მუნიციპალიტეტმა მართლა იყიდა მიკროავტობუსები და თუ ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვები, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თბილისის მერია საკრებულოს წევრებს არ აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას და მიმართა ვიქტორ წილოსანს - „ინფორმაციას რომ გთხოვთ, მომაწოდეთ და არ დაგისვამთ კითხვებს, იმიტომ, რომ პრობლემის თავიც და ბოლოც არის თბილისის ტრანსპორტის კომპანია“. ასევე, განაცხადა, რომ პირდაპირ ბრალდებას არავის უყენებს და აინტერესებს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი მიდის მიკროავტობუსებში ინტეგრირებული პაკეტიდან, როდის მოხდება საბოლოო გამოსყიდვა და სხვა დეტალები, რომლებზე პასუხებიც, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, არ მიუღია.

საბა ბუაძემ განმარტა, რომ მისი კითხვა ტრანსპორტთან დაკავშირებით გამოწვეულია იმით, რომ მის ირგვლივ გაჩნდა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ავტობუსების გაჩერებებზე ბევრი ხალხია, ადამიანებმა სამსახურებში დააგვიანეს იმის გამო, რომ განხორციელებული იყო გარკვეული ცვლილებები და სხვა. მისი თქმით, ზოგადად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე, მათ შორის ახმეტელის მეტროსთან, შესამჩნევი გახდა ადამიანების რაოდენობის გაზრდა და დაინტერესდა რითია აღნიშნული გამოწვეული.

ვიქტორ წილოსანმა განმარტა, რომ გარდა მის მიერ ჩამოთვლილი უბნებისა, არსებობს გარკვეული ადგილები, მათ შორის ახმეტელის და ვარკეთილის მეტროები, რომლებიც არის ისეთი კვანძები, სადაც გაივლის 10 ან უფრო მეტი მარშრუტი და შესაბამისად, ბუნებრივი პროცესია, ასეთ ადგილებში, ერთ მარშრუტს ელოდებოდეს სამი ადამიანი და აქედან გამომდინარე, გაჩერებაზე იდგეს თუნდაც ოცდაათი ან მეტი ადამიანი. თბილისში არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის 300-მდე მარშრუტი, 20000-მდე ბრუნით და 1200000-მდე მგზავრობით. სამარშრუტო ხაზების ოპტიმიზაციისას, მგზავრთნაკადის მიხედვით, დაკორექტირდა ისეთი ხაზები, სადაც მოლოდინის რეჟიმი იყო ხანგრძლივი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, დაახლოებით 10%-ში მივიღეთ მოქალაქეების დისკომფორტი, მაგრამ მთავარია ის, რომ ვიცით ყველა პრობლემა, პროცესი არის მუდმივი დაკვირვების რეჟიმში, იდენტიფიცირებულია ყველა პრობლემური მარშრუტი და არავინ ამბობს იმას, რომ ყველაფერი კარგად არის.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ მოქალაქეების მხრიდან ხშირად ისმის ისეთი ჩივილები, როგორიცაა თუნდაც ის, რომ ნაძალადევიდან საბურთალოზე ვერ მოხვდები და დაინტერესდა, ეს არის არასწორი მოლოდინი თუ სისტემური პრობლემაა, რომელიც უნდა გაუმჯობესდეს.

ვიქტორ წილოსანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, არცერთ განვითარებულ ქალაქში, არ ასრულებს ტაქსის ფუნქციას და შესაბამისად, ყველა წერტილიდან ყველა წერტილში ვერ მივა და გარკვეულ შემთხვევებში საჭიროა გადაჯდომა. აქვე განაცხადა, რომ სატრანსპორტო რეფორმის კიდევ ერთი პლუსი არის ის, რომ მის განხორციელებამდე, ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა იყო 74%-მდე, ხოლო დღეის მდგომარეობით არის 92%, მათ შორის იგულისხმება თბილისს შემოერთებული რაიონებიც.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ კომისია, ნებისმიერ დროს, მზად არის მოაწყოს სამუშაო შეხვედრა შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან და დეტალურად განიხილოს ტრანსპორტთან დაკავშირებული საკითხები.

ალექსანდრე რატიშვილმა აღნიშნა, რომ მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოხატავს ასევე, მიკროავტობუსების ნომრების ცვლილებასთან დაკავშირებით და თხოვნაა, მათი ინფორმირება, თუნდაც იმ ფორმით, რომ ცვლილებები გამოიკრას ავტობუსის გაჩერებებზე.

ვიქტორ წილოსანმა განმარტა, რომ მიკროავტობუსების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვამდე, არსებობდა ერთი და იგივე ნომრის ავტობუსიც და მიკროავტობუსი, რაც არ ქმნიდა არავითარ პრობლემას მგზავრობის საფასურის გადახდისას, თუმცა, მას შემდეგ, რაც პირველი თებერვლიდან, ამოქმედდა ერთიანი გადახდის სისტემა, გაჩნდა დუბლირების პრობლემა. ამასთანავე, გაიყო მიკროავტობუსების და ავტობუსების ნომრები - ავტობუსების ნომრები იწყება ციფრებით 2 და 3, ხოლო მიკროავტობუსების - 4 და 5. რაც შეეხება მოსახლეობის ინფორმირებას, აღნიშნა, რომ ხსენებული ცვლილებები გამოკრულია ავტობუსის გაჩერებებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ჩოგბურთის განვითარების" (ს/ნ. 404443456), „ქ. თბილისის მერიის ვ.კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის" (ს/ნ. 404408066), „ქ.თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის" (ს/ნ. 401963666) და „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების" (ს/ნ. 405155898) რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის" შექმნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

6. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N72-ში მდებარე 64.15 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.056.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N14დ-ში, გახოკიძის ქუჩაზე, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N16ბ-ში, გახოკიძის ქუჩა N14ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.217, N01.19.19.005.062, N01.19.19.005.064, N01.19.19.005.007, N01.19.19.005.212) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N10-ში მდებარე 81.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.036.076.01.01.023) და ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N10-ში მდებარე 44.80 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.036.076.01.01.032) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.018.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, სოფელ წინუბანში, იალნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513.05.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.01.544) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ნუშის ქუჩის მე-2 ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.003.04.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, მე-8 კვარტლის კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.007.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.038.028.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის N93ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.053.01.529) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის I კვარტლის კორპუს „ბ“-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.006.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 დეკემბრის N577 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩა N70-ში (იგივე გამსახურდიას გამზ.N5) მდებარე შენობის მე-2 სართულზე, ლიტერი „ა“-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 360.03 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.031.006.06.514) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩა N3-ის მიმდებარედ 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.03.028.010); ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩა N3-ის მიმდებარედ 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.15.03.028.006) და ქ.თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 6754 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.133) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„მზიანისთვის“ (ს/კ.: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N2-6-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1695 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.012.041) ტერიტორიიდან 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის“ (ს/კ.: 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ.N88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ.: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ოლეგი ზაბახიძეს (პ/ნ. 38001000396) (უფლებამონაცვლე: ფ/პ ხათუნა გრძელიშვილი, პ/ნ. 38001008104) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2013 წლის 17 ივლისის №-208-9-7535 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „ალფა ერისთავის“ (ს/ნ. 405462707) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, თ.ერისთავის ქ.N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში (ს/კ.: N01.12.08.037.106) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

27. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „პალა ინვესტ ჯგუფის“ (ს/ნ. 405507250) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა, N5ა, (ს/კ.: N01.10.10.006.024) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

28. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და ი.ბ.ა „კაპანელის 2“ მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, კონსტანტინე კაპანელის შესახვევი N1 (ს/კ.: N01.14.16.015.342) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

29. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და კახაბერ კობაივანოვის (პ/ნ. 01401124243) მიმართ მისამართებზე - 1. ქ.თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი N35 - ის მიმდებარედ, თბილისი ნუცუბიძის მიკრო/რაიონი IV, N4 და N5 კორპუსების მოპირდაპირედ, ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო რაიონი IV, კორპუსი N36, მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016, ს/კ.: N01.14.16.009.305) და 2. ქ.თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი N35 - ის მიმდებარედ, თბილისი ნუცუბიძის მიკრო/რაიონი IV, N4 და N5 კორპუსების მოპირდაპირედ, ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო რაიონი IV, კორპუსი N36, მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016, ს/კ.: N01.14.16.009.304) - არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

30. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N 01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „კროიდონ დეველოპმენტის“ (ს/ნ. 405356092), მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, გუმათჰესის ქუჩა, კორპუსი N1-ის მიმდებარედ, (ნაკვ. 13/011); ქალაქი თბილისი, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძე, N2ბ, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

31. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.

204460957) და შპს „ლაქი ქონსთრაქშენის“ (ს/ნ. 405370708) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.N53 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.10.14.028.002) მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

32. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ. N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და პაატა ფოცხვერაშვილის (პ/ნ. 01021006262) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის II შესახვევი N7, წმინდა მოწამე ვასილისკოს ქუჩა N6, (ს/კ.: N01.14.05.008.400) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

33. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: თემურ ბოლოთაშვილი

34. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში, ფერმწერთა ქუჩა, N143; N145 ; N147; N149-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.16.009.446; N01.14.16.009.442) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ვახტანგ თედიაშვილის ქუჩა, N24, N26, N22, N28, N28ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.486; N81.02.21.031; N81.02.21.487; N81.02.21.341; N81.02.21.340; N81.02.21.342) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ე.წ. „ნუში ბაღის ტერიტორიაზე“ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.010.252, N01.20.01.010.134, N01.20.01.010.260, N01.20.01.010.448, N01.20.01.117.164, N01.20.01.010.196, N01.20.01.010.118, N01.20.01.010.172, N01.20.01.010.259, N01.20.01.010.449) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, სამრეწველოს დასახლება N334, N337ა, N336, N336ა, N332ა; ქალაქი თბილისი, გიორგი მდივნის ქუჩა N16, N20, N22; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N29თ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის დასაწყისში, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ;

ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.005.028; N01.17.11.005.031; N01.17.11.005.025; N01.17.11.006.045; N01.17.11.005.035; N01.17.11.005.032; N01.17.11.005.005; N01.17.11.005.034; N01.17.11.005.033; N01.17.11.005.038; N01.17.11.005.037; N01.17.11.005.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტისდამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი საცხოვრებელ რაიონში, (ნაკვეთი N003/001), დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი N03/006), არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.003.356, N01.10.07.003.074, N01.10.07.003.359, N01.10.07.003.372, N01.10.07.003.058, N01.10.07.003.344) საცხოვრებელი უბნის (საუნივერსიტეტო დასახლების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის N1360523 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში წავკისში, კოჯრის გზატკეცილზე არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N210 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, ტაბახმელაში, ოქროყანის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.01.004.004), მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 12 ოქტომბრის N2915 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

42. „ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29, ნაკვეთი N4/139; ქალაქი თბილისი, კოსმონავტების სანაპირო N51გ/N47-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.139, N01.13.05.004.058, N01.13.05.004.059) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

43. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.21.003.134; N01.19.21.003.145; N01.19.21.003.141; N01.19.21.003.154) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული,სასაწყობე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N116 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

44. „ქალაქ თბილისში, ყოფილი დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.006.010; N01.72.14.006.007; N01.72.14.006.009;

N01.72.14.006.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

45. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.36.040; N81.02.11.984; N81.02.11.583; N81.02.11.520; N81.02.36.050; N81.02.36.059; N81.02.11.757; N81.02.06.628; N81.02.11.449; N81.02.11.613; N81.02.36.049; N81.02.36.036; N81.02.93.274; N81.02.36.077; N81.02.36.011; N81.02.93.045; N81.02.11.689; N81.02.11.477; N81.02.36.039; N81.02.00.105; N81.02.93.249; N81.02.11.985; N81.02.93.248; N81.02.36.052; N81.02.11.439; N81.02.36.033) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

46. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2; ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ის მიმდებარედ (ნაკვეთი: 08/081) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.06.008.089; N01.14.06.008.349; N01.14.06.008.350) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

47. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირებში"; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ავთანდილის ქუჩა, N72,N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.032.816; N01.72.14.032.817; N01.72.14.032.888; N01.72.14.032.887; N01.72.14.032.889; N01.72.14.032.639; N01.72.14.032.502; N01.72.14.032.890; N01.72.14.032.261; N01.72.14.032.638; N01.72.14.032.448; N01.72.14.032.159; N01.72.14.032.161; N01.72.14.032.260; N01.72.14.032.503; N01.72.14.032.485) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

48. „ქალაქ თბილისში, არჩილ ქურდიანის ქუჩა N13, N13ა, N15, N15ა, N17, N19; ქალაქი თბილისი, სლავა მეტრეველის ქუჩა N14, N14ა, N14ბ, N12, N10, N8, N13ა, N6, N6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.07.017.033, N01.13.07.017.056, N01.13.07.017.057, N01.13.07.017.034, N01.13.07.017.037, N01.13.07.017.015, N01.13.07.017.022, N01.13.07.017.066, N01.13.07.017.067, N01.13.07.017.005, N01.13.07.017.008, N01.13.07.017.011, N01.13.07.017.061, N01.13.07.017.062) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

49. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტისა და ჩამოსაწერი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, მერის სარეზერვო ფონდს ემატება 3120000 ლარი, რომელიც მოხმარდება უკრაინიდან ლტოლვილების სასტუმროში განთავსების და კვების ხარჯებს.

ალექსანდრე რატიშვილმა აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდისთვის უკრაინელების მხარდასაჭერად თანხის დამატების პირველი შემთხვევა არ არის და დაინტერესდა, იმ შემთხვევაში, თუ უკრაინელი ლტოლვილების ყოფნა თბილისში გაგრძელდა ხანგრძლივი დროით, მუდმივად მოგვიწევს სარეზერვო ფონდისთვის თანხების დამატება თუ მუშავდება რაიმე სხვა გეგმა ამ საკითხის ფუნდამენტურად მოსაგვარებლად.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერია, ფინანსთა სამინისტროსთან და მთავრობასთან ერთად, მუშაობს ამ მიმართულებით და, სავარაუდოდ, ივნისიდან მიღებული იქნება ახალი გეგმა და თბილისის ბიუჯეტს აღარ ექნება ეს ხარჯები.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ თუ მთავრობასთან მიდის კომუნიკაცია იმ საკითხზე, რომ მოიძებნოს ამ პრობლემის მოგვარების ცენტრალიზებული გზა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა ამ მიმართულებით აღარ დახარჯოს თანხა, კარგი იქნება, საკრებულოს წევრებს ჰქონდეთ უფრო დეტალური ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. ასევე, საინტერესოა, დღეს როგორ ხდება ამ მომსახურების შესყიდვა და ის სასტუმროები, სადაც განთავსებული არიან უკრაინელი მოქალაქეები, სერვისის მიწოდებას ახორციელებენ მოგების გარეშე თუ ეს არის თბილისის მერიის მიერ დაწესებული ფასი.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ სამომავლო გეგმასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე მისთვის დეტალები არ არის ცნობილი. რაც შეეხება დღეის მდგომარეობით შესყიდვის განხორციელებას, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი უკრაინელ ლტოლვილებს ათავსებს იმ სასტუმროებში, რომლებმაც თავიდანვე გამოთქვეს პროგრამაში ჩართვის მზაობა. ხოლო მოგებასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ თბილისის მერია არ ერევა სასტუმროს ბუღალტერიაში, თუმცა მისი აზრით, მოგება, თუნდაც მცირე, სავარაუდოდ, ექნებათ.

ვლადიმერ ბოჟაძე დაინტერესდა, რა თანხა დახარჯა დღემდე დედაქალაქის მერიამ თბილისში მყოფი უკრაინელების სოციალური თუ სხვა საჭიროებებისთვის.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით, საკასო ხარჯი 2.5 მილიონზე მეტია, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი გაცილებით მეტია. იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით ყოველდღიურად ხარჯავს დაახლოებით 100000 ლარს, დღევანდელი ცვლილებით სარეზერვო ფონდში გადატანილი 3120000 ლარიდან, დაახლოებით 3000000 ლარი დაიხარჯება ამ კუთხით.

საბა ბუაძე დაინტერესდა, როგორ იმოქმედა აღნიშნული თანხების დამატებამ სარეზერვო ფონდის მოცულობაზე და ამ გაუთვალისწინებელი ფაქტორის გამო, თავდაპირველი მოცულობის რამდენი პროცენტი ავითვისეთ. აქვე განაცხადა, რომ წარმოდგენილ ინიციატივას, წინა სხდომებზეც დაუჭირა მხარი, ეხლაც მხარს უჭერს და მომავალშიც, საჭიროების არსებობის შემთხვევაში, ყოველთვის მხარს დაუჭერს, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია სოლიდარობა და ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს არანაირი პარტიული განსხვავება.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ დღეს წარმოდგენილი ცვლილების შემდეგ, სარეზერვო ფონდიდან დახარჯული იქნება ათ მილიონზე მეტი, ხოლო, ზოგადად, სარეზევრო ფონდის მოცულობა შესაძლებელია იყოს მთლიანი ბიუჯეტის 2%.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ ცვლილებებით წარმოდგენილია მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება, რომლის ოდენობა დაკავშირებულია აკადემიურ მოსწრებასთან, კერძოდ, რაც უფრო მაღალია აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, უფრო მაღალია დაფინანსების ოდენობაც.

ვლადიმერ ბოჟაძე დაინტერესდა, თუ რა თანხა იქნა დახარჯული ბოლო წლებში, როგორც ბაკალავრის საფეხურის, ასევე, მაგისტრატურის სტუდენტების სწავლის საფასურით დაფინანსების მიმართულებით, დაახლოებით რამდენი სტუდენტის დაფინანსება განხორციელდა და წარმოდგენილი ცვლილება შეეხება თუ არა მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის დაფინასებას.

ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ წინა წელს განხორციელდა ბიუჯეტის გაორმაგება, რის შედეგადაც ამ მიმართულებით გამოყოფილი იქნა 2600000 ლარი და დაფინანსდა დაახლოებით 4000 სტუდენტი. ხოლო რაც შეეხება მიმდინარე სემესტრს, წარმოდგენილი პროექტის მხარდაჭერის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მაისის თვეში გამოცხადდეს რეგისტრაცია და ის სტუდენტები, რომლებსაც აქვთ დავალიანება, შეძლებენ მიმართონ თბილისის მერიას, რის შემდეგაც მოხდება დოკუმენტაციის დამუშავება და არსებული დავალიანებების დაფარვა.

გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მნიშვნელოვანია, რადგან მოქალაქეებთან ურთიერთობის პროცესში ხშირად იკვეთება აღნიშნული პრობლემები, როგორც შშმ პირების, ასევე, მრავალშვილიანი ოჯახის წევრებისგან და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ ინიციატივის და პროგრამის შემუშავებაში იყო ჩართული.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ არ მოსწონს მსგავსი სოციალური ტიპის ხარჯები, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში, მისთვის ძირითადი პრიორიტეტია სიღარიბე. გასაგებია, შშმ პირების და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარება სწავლის საფასურის დაფინანსებით, თუმცა, გაუგებარია მრავალშვილიანობა რატომ არის ის კომპონენტი, რომ მათი სწავლის საფასური დავაფინანსოთ სხვა ადამიანების ფულით.

ანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტის განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნია იმ სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც პრიორიტეტია სწავლა და რომლებსაც სწავლის საფასურის გადახდისთვის უწევთ სხვადსხვა სამუშაოების შესრულება. მისი თქმით, აღნიშნული ინიციატივა სერიოზული შეღავათი იქნება მათთვის და ბევრი ოჯახის მდგომარეობაზე იმოქმედებს დადებითად. აქვე, გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის გამოსვლას და განაცხადა, რომ ქვეყანაში არის ძალიან მძიმე დემოგრაფიული პრობლემა, რომლის მოგვარება არის ჩვენი ქვეყნის უპირობო პრიორიტეტი და არა მარტო დემოგრაფიული კუთხით, არამედ, ზოგადად, ქართველი ერისთვის და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორციელება და აქედან გამომდინარე, არ უნდა არსებობდეს კითხვები იმის შესახებ, რატომ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ძალიან ბევრი საზრუნავი აქვთ. განაცხადა, რომ ბევრი ოჯახი თავს იკავებს შვილის გაჩენისგან მხოლოდ იმიტომ, რომ ამის ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს და

სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მრავალშვილიანი ოჯახის წევრ ბავშვებზე და იზრუნოს იმაზე, რომ თითოეულ ადამიანს ჰქონდეს განათლების უფლება.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ დღევანდელ პირობებში, როდესაც ყველაფერი გამვირდა და ერთ, მრავალშვილიან ოჯახში, შესაძლებელია იყოს რამდენიმე სტუდენტი, სახელმწიფო გვერდში უნდა დაუდგეს მათ.

საბა ბუაძე დაინტერესდა, საუბარია გარკვეული ჯგუფის მრავალშვილიან ოჯახებზე თუ ნებისმიერ მრავალშვილიან ოჯახზე. აღნიშნა, რომ მხარს უჭერს განათლების ხელმისაწვდომობის, თუნდაც ფინანსური ფორმით წახალისებას, თუმცა საინტერესოა, რა ჯიპიაი უნდა შეინარჩუნოს დახმარების მიმღებმა სტუდენტმა.

ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ დაფინანსების ოდენობა დაკავშირებულია აკადემიური მოსწრების მაჩვენებელთან, კერძოდ: მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში არის 100%-იანი დაფინანსება, ხოლო საშუალო და დაბალი მოსწრების შემთხვევაში, დაფინანსება არის 70% და 50%, თუმცა, აღსანიშნავია, რომ შშმ პირების შემთხვევაში, დაფინანსების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 70%-ით.

საბა ბუაძე დაინტერესდა, რა იგულისხმება მაღალ, საშუალო და დაბალ მოსწრებაში.

ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ აკადემიური მოსწრება 91%-დან ზევით არის მაღალი, 70%-დან 90%-მდე მოსწრების შემთხვევაში დაფინანსება არის 70%-იანი, ხოლო 70%-მდე მოსწრების შემთხვევაში - 50%-იანი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ეთანხმება დამატებითი მოთხოვნების არშექმნას შშმ პირების შემთხვევაში, თუმცა, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების შემთხვევაში, იქ სადაც დაბალია აკადემიური მოსწრება, უკეთესი იქნება სტანდარტის აწევა მომავალში, რადგან ამ თანხით შესაძლებელი იქნება გაცილებით მეტი ისეთი სტუდენტის დაფინანსება, ვისაც აქვს სწავლაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა და სწავლობს იმათზე გაცილებით უკეთ, რომელთა მოსწრებაც არ არის კარგი და იღებენ დაფინანსებას.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით მასაც ჰქონდა ინიციატივა, რომელიც განიხილეს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომაზე, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი პროექტი არის ძალიან პოზიტიური, კომისიის წევრები და მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ, ამ ეტაპზე, წესი მიღებული იქნას წარმოდგენილი სახით, თუმცა, გაგრძელდეს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ დაზუსტდეს გარკვეული დეტალები და საჭიროების შემთხვევაში, წესში განხორციელდეს ცვლილებები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და აღნიშნა, რომ დღეს, თბილისში, საკმაოდ მწვავედ დგას ავარიული სახლების პრობლემა, რომლის გადასაჭრელად შემუშავებული იქნა წესი, რომელიც ითვალისწინებს თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა. მთავარი პრინციპი არის ის, რომ მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა სრულიად უფასოდ, ყოველგვარი დანახარჯის გარეშე, თავიანთი კუთვნილი ავარიული, მრავალბინიანი სახლის ნაცვლად, მუნიციპალიტეტისგან მიიღოს ახალი აშენებული, გარემონტებული, არანაკლებ იგივე მოცულობის ფართი. აღსანიშნავია, რომ პროცესის დასრულებამდე, მაცხოვრებლები

უზრუნველყოფილნი იქნებიან საცხოვრებელი ბინის ქირის კომპენსაციით. პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელია შესაბამისი მრავალბინიანი ავარიული სახლის ყველა მესაკუთრის თანხმობა, რის შემდეგაც ისინი მიმართავენ მუნიციპალიტეტს. ამ პროცესში ჩართვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შენობა არის მეხუთე, მეოთხე ან მესამე კატეგორიის ხარისხის, რაც დგინდება „განვითარების ფონდის მიერ", რომლის ჩართულობითაც დაზუსტდება საკუთრების ფაქტობრივი მოცულობა. ამის შემდეგ, მოსახლეობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის მხრიდან, მოხდება კონკრეტული პროექტის დაკვეთა და შესყიდვა. პროექტის განხორციელება დაიწყება მაცხოვრებლების მიერ საბოლოო თანხმობის გამოხატვის შემდეგ, მათ შორის იმაზეც, რომ, თუ ურბანული დაგეგმარებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება გარკვეული ფართის მომატება, ეს ფართი საკუთრებაში გადაეცემა მუნიციპალიტეტს, რაც ამ უკანასკნელს მისცემს შესაძლებლობას, დააფინანსოს კიდევ უფრო მეტი ავარიული ბინის ჩანაცვლება. იმ შემთხვევაში, თუ ჩანაცვლების პროცესში იარსებებს იპოთეკარების თემა, პროექტი მოიცავს შესაბამის რეგულაციებს, რათა არ დაზარალდეს პროცესი და წარიმართოს ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით. ამასთანავე, პროექტს თან ახლავს თანმდევი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისების დაწესებას იმ შემთხვევაში, თუ არსებული გეგმარებიდან გამომდინარე, ჩანაცვლების პროცესში, საჭირო გახდება გარკვეული პარამეტრების ცვლილება, მუნიციპალიტეტს ექნება შესაძლებლობა დაადგინოს შესაბამისი გამონაკლისი და მიიღოს ახალი პროექტი.

ალექსანდრე რატიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის შეთავაზება იწყება პროექტის დაკვეთით და დაინტერესდა, სად იქმნება შეთავაზების ფონდი, იგულისხმება თუ არა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ორსართულიანი სახლი, სადაც ცხოვრობს ოთხი ადამიანი თუ საუბარია მხოლოდ კორპუსებზე, როგორი იქნება პროექტირება და სად იქნებიან გადაყვანილი ავარიულ კორპუსში მაცხოვრებლები პროექტის დასრულებამდე.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ზოგადად, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში იგულისხმება ისეთი შენობა, სადაც ორი და მეტი ბინაა, თუმცა, ავარიული სახლების განმარტება, რომელიც მითითებულია წარმოდგენილ წესშიც, გულისხმობს როგორც მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შენობა-ნაგებობას, ასევე, ბარაკებსაც. პროცესის საწყისი ეტაპი არის მოსახლეობის გადაწყვეტილება, რომ მუნიციპალიტეტმა, თავისი ხარჯით, ჩაანაცვლოს მათი ავარიული შენობა-ნაგებობა და მიმართავენ მერიას. ამის შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი ფონდი აზუსტებს მესაკუთრეების რაოდენობას და საცხოვრებელი ფართების მოცულობას, რის შემდეგაც, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით, ხდება პროექტის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს იმავე ადგილზე, ავარიული სახლის სხვა სახლით ჩანაცვლებას. იმისათვის, რომ წესი მაქსიმალურად მორგებული იყოს მოსახლეობის ინტერესებზე, ითვალისწინებს იმასაც, რომ, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული მესაკუთრის საცხოვრებელი ბინა ჩანაცვლდეს მუნიციპალური საკუთრებით.

ვლადიმერ ბოჟაძე დაინტერესდა, პროექტების არსებობს შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა ამ მიმართულებით არსებული ბიუჯეტის გაზრდა, როგორი სტრატეგია აქვს მუნიციპალიტეტს მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში, პროექტის შეთანხმებიდან რა ვადაში იქნება შესაძლებელი ადამიანები დაბრუნდნენ საცხოვრებელ ბინებში და ვინ უზრუნველყოფს მაცხოვრებლების ქირით გაყვანას.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ დღეს არსებული ბიუჯეტით, ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 20000000 ლარი და არსებობს ამ თანხის გაზრდის მზაობა. მისი თქმით, აღნიშნული არის ახალი პროექტი და თბილისში ავარიული სახლების მიმართულებით არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, არის მომართვიანობის გაზრდის მოლოდინი. მუნიციპალიტეტის გეგმაა განხორციელდეს რაც შეიძლება მეტი ავარიული კორპუსის ჩანაცვლება და იმედოვნებს, რომ ამ მიმართულებით თანხის გაზრდას, არა მხოლოდ შემდგომ წლებში, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მიმდინარე წელსაც, საკრებულო მხარს დაუჭერს. მისი თქმით, მუნიციპალური ფონდის გაზრდის ერთ-ერთი მოტივატორი არის მომატებული

ფართები, რაც შესაძლებელია მოხდეს იქ, სადაც ამის საშუალება იქნება ურბანული დაგეგმარებიდან გამომდინარე, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს დასაფინანსებელი ფონდის გაზრდას და უფრო მეტი ავარიული კორპუსის ჩანაცვლებას. რაც შეეხება პროექტის განხორციელების ვადებს, აღნიშნა, რომ ეს დამოკიდებულია ჩასანაცვლებელი ავარიული სახლის მოცულობაზე და ფიქრობს, რომ თითოეული პროექტის განხორციელებას საშუალოდ დასჭირდება 2-2.5 წელიწადი. მისი თქმით, პროცესი ვერ იქნება გრძელვადიანი, რადგან მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ქირის გადახდას და მის ინტერესშია, რომ თითოეული პროექტი განხორციელდეს მაქსიმალურად მოკლე ვადაში.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია და მისი განხორციელების პროცესი გვანახებს, თუ რა იქნება დასახვეწი სამომავლოდ და შესაძლებელია საჭირო გახდეს წესში გარკვეული ცვლილებების განხორციელებაც. მისი თქმით, ამ ეტაპზე, ყურადღებამისაქცევია ავარიული ბარაკების ჩანაცვლების საკითხი, რადგან სამსჯელოა, თუ რამდენად უნდა იყოს ამ პროექტის ნაწილი ბარაკული ტიპის დასახლებები. ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოვიდეთ მიწის ღირებულებიდან და ესეთი ტიპის ავარიული სახლების ჩანაცვლება მოხდეს საინვესტიციო პროექტებით. ყურადღებამისაქცევია ასევე, წესში არსებული ჩანაწერიც, რომ ქირით უზრუნველყოფა მოხდება საცხოვრებელი ფართების შემთხვევაში, რადგან აუცილებლად იქნება ისეთი შემთხვევები, როდესაც მრავალბინიან კორპუსებში იქნება კომერციული ფართები და იმისათვის, რომ პროექტის განხორციელებას არ შეეშალოს ხელი, მოსაფიქრებელი იქნება, რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებით. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა გაგრძელდეს მუშაობა და დაზუსტდეს გარკვეული საკითხები.

გიორგი ტყემალაძე დაეთანხმა რევაზ სოხაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მუშაობა და აღნიშნა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა საინვესტიციო თუ მუნიციპალური ჩარევით უნდა დარეგულირდეს ისე, რომ ბიზნესის მხრიდან იყოს აქტივობა იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს ურბანულად, ხოლო მუნიციპალიტეტმა თავისი რესურსი მიმართოს იმ პროექტებზე, სადაც ვერ მოხერხდება კერძო ინვესტიციის განხორციელება.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტს ძალიან გაუჭირდება კომერციული ობიქტებიდან მიღებული შემოსავლების დათვლა და მისი ანაზღაურება. შესაბამისად, რთული იქნება ასეთი შემთხვევების გათვალისწინება პროექტებში და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია უპრიანი იყოს, რომ ასეთი პროექტები განახორციელოს ბიზნესმა და იქ სადაც შესაძლებელია, კერძო სექტორმა განახორციელოს პროექტი, მუნიციპალიტეტი არ უნდა გახდეს მისი კონკურენტი. მისი თქმით, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროცესში ყველაზე რთული იქნება მაცხოვრებლების 100%-ის თანხმობის მიღწევა, რადგან საკმაოდ ხშირი იქნება ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით, ვინმე არ იქნება თანახმა ჩანაცვლებაზე. ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ რა საკითხებს უნდა მოვაქციოთ ყურადღება მომავალში და რა მიმართულებით იქნება წესში ცვლილებები განსახორციელებელი, რადგან ის მთლიანად აგებულია გარკვეულ პრინციპებზე, რომლებმაც მიმართულება უნდა მისცეს, როგორც მოსახლეობას, ასევე მშენებლებსაც.

ლევან ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია და პირველივე განხორციელებული პროექტი გამოავლენს იმ ცვლილებებს, რომლის განხორციელებაც სამომავლოდ საჭირო გახდება. რაც შეეხება კომერციულ ფართებს, მათი დათვლა შექმნის სირთულეებს და აქედან გამომდინარე, მართებული იქნება, თუ კომერციული ფართის მესაკუთრეს მუნიციპალიტეტი გადაუხდის საცხოვრებელი ბინის ქირის ოდენობის თანხას.

კონსტანტინე ზარნაძემ აღნიშნა, რომ სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაციით, ახალი საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს იმავე მიწის ნაკვეთზე, რომელზეც დგას ავარიული სახლი და დაინტერესდა რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც დგას ავარიული შენობა, სამშენებლოდ გამოუსადეგარია. თავადვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევაში, სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტმა, ფონდთან ერთად, იმავე რაიონში უნდა

მოიძიოს სხვა მიწის ნაკვეთი, სადაც შეიძლება აშენდეს ჩასანაცვლებელი კორპუსის შესაბამისი შენობა-ნაგებობა, შემდეგ ჩაანაცვლოს მიწის ნაკვეთი და ამის მერე დაიწყოს პროექტის განხორციელება, რაც მისი თქმით, უფრო რთული პროცედურის გავლაა.

საბა ბუაძე დაინტერესდა დაწესებულია თუ არა ბინის ქირისთვის ზღვრული ოდენობა.

სერგო ბირკაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს და განმარტა, რომ წარმოდგენილი წესი არ არის ერთადერთი ალტერნატივა და ავარიული სახლების ჩანაცვლების პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს საინვესტიციო პროექტის ფარგლებშიც, თუ ამა თუ იმ ტერიტორიაზე არსებული ფუნქციური ზონა იძლევა ბიზნესის დაინტერესების შესაძლებლობას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმოქმედებს საუკეთესო პრინციპით და დადგება იმ გზაზე, რომელიც უფრო მისაღები იქნება. რაც შეეხება კომერციული ფართების კომპენსაციის საკითხს, აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, აღნიშნული არ არის გაწერილი წესში სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის საპილოტე პროექტი და ნოვაციური შემოთავაზება. პრაქტიკაში ვნახავთ რა კრიტერიუმები იქნება დასახვეწი და დასამუშავებელი და თუ გამოიკვეთება საჭიროება, რომ ამ მიმართულებითაც საჭირო გახდეს გარკვეული დაზუსტებები, შესაძლებელი იქნება ამ ნაწილშიც განხორციელდეს ცვლილებები. წესში გაწერილი არ არის ქირის კონკრეტული ოდენობა და ვერც იქნება, რადგან, ზოგადად, დამტკიცებულია ქირის გადახდის წესი, რომლის თანახმადაც, გამგეობები გადაწყვეტილებას იღებენ 500 ლარის ფარგლებში, ხოლო, თუ კონკრეტულ შემთხვევაში, რაიმე მიზეზით, საჭირო გახდა ქირის გადახდა 500 ლარზე მეტის ოდენობით, საკითხი გადის თბილისის მთავრობის სხდომაზე, სადაც მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. შესაბამისად, თუ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტის განხორციელებისას დადგება ასეთი საჭიროება, მთავრობა მიიღებს შესაბამის, დასაბუთებულ, გადაწყვეტილებას. მისი თქმით, წარმოდგენილი წესი მნიშვნელოვანია იმით, რომ მისი მიღების შემდეგ, მუნიციპალიტეტს, მოსახლეობის სურვილის შემთხვევაში, ექნება გარკვეული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა, რათა სრულიად უსასყიდლოდ მოახდინოს ავარიული ნაგებობების ჩანაცვლება. რაც შეეხება იმას, თუ რა პროცედურა იქნება განსახორციელებელი იმ შემთხვევაში, როდესაც ავარიული კორპუსი დგას სამშენებლოდ გამოუყენებელ მიწის ნაკვეთზე, განმარტა, რომ წარმოდგენილი წესის თანახმად, მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა ავარიული სახლის ჩანაცვლება განახორციელოს სხვა მიწის ნაკვეთზე იმ შემთხვევაში, თუ ამის საშუალებას არ იძლევა არსებული მიწის ნაკვეთი.

ალექსანდრე რატიშვილი დაინტერესდა, რა კრიტერიუმით მოხდება გამოყოფილი თანხის ათვისება და რა პრიორიტეტის მიხედვით მიიღებს მერია გადაწყვეტილებას, რომელი პროექტი უნდა განახორციელოს პირველ რიგში.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ მნიშვნელობა ენიჭება ავარიულობის ხარისხს და სხვა თანაბარ პირობებში, პირველ რიგში, მოხდება ისეთი შენობა-ნაგებობის ჩანაცვლება, რომლის ავარიულობის ხარისხიც უფრო მაღალია. მისი თქმით, ზოგადად პროცესი არის მართვადი და ავარიულობის ერთნაირი კატეგორიის შემთხვევაში, შესაძლებელია გადაწყვეტილება მიღებული იქნას იმის მიხედვით, თუ ვინ შეიტანა პირველმა განაცხადი ან რამდენად მალე მოხდა ამა თუ იმ კორპუსის მაცხოვრებლებთან მოლაპარაკება. შესაბამისად, პროექტის დაწყება სრულად დამოკიდებული იქნება მოსახლეობის ერთსულოვნებაზე და პროექტის დოკუმენტალურად შეკვრაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და აღნიშნა, რომ გარკვეული პერიოდის წინ, დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელების კატეგორიას დაემატა მშენებლობის ნებართვის მფლობელი პირები, თუმცა, შემდეგ განხორციელდა გარკვეული ქრონომეტრაჟი და დადგინდა ნარჩენების მოცულობის ოდენობა, რაც პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის ხარჯებთან და იქიდან გამომდინარე, რომ მოცულობა იყო გაზრდილი, მოსაკრებელი, 0.40 ლარის ნაცვლად, ხდება 0.50 ლარი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ცვლილება არ ეხება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვის მფლობელებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ჩოგბურთის განვითარების“ (ს/ნ. 404443456), „ქ. თბილისის მერიის ვ.კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის“ (ს/ნ. 404408066), „ქ.თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის“ (ს/ნ. 401963666) და „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ (ს/ნ. 405155898) რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის“ შექმნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ წარმოდგენილია რამდენიმე ა(ა)იპ-ს გაერთიანება, რომლის მიზანია, უფრო მოქნილი მექანიზმით მუშაობა და დამატებითი ორგანიზაციების შექმნის თავიდან აცილება.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მნიშვნელოვანია, თუნდაც იმ მიზეზების გამო, რომ ახალი სტადიონი, რომელიც გაიხსნა „მზიურთან“ და ასევე სკეიტ-პარკები, გაერთიანდება ერთ, სპორტისა და ახალგაზრდობის ა(ა)იპ-ში.

გიორგი ტყემალაძე დაინტერესდა, თუ რა მიმართულებები ერთიანდება და შენარჩუნდება თუ არა კონკრეტული მიმართულებების სტრუქტურა.

ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ ერთიანდებიან შემდეგი ა(ა)იპ-ები: სპორტული ცენტრი „იმედი“, რომელსაც ჰქონდა ერთი სტადიონი მუშტაიდის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე და დაემატა „მზიურის“ მიმდებარედ ერთი ახალი სპორტული ცენტრი; ჩოგბურთის ორი ფილიალი, რომლებიც მდებარეობს ვაკის პარკში და ვერის პარკში; ახალგაზრდული ცენტრის ორი ფილიალი, რომლებიც მდებარეობს აღმაშენებელზე და ფონიჭალაში; ფრენბურთის სპორტული ცენტრი. რაც შეეხება მიმართულებებს, განმარტა, რომ პროფილი შენარჩუნებული იქნება და შემოსავლების მობილიზება მოხდება ისე, რომ ის ორგანიზაციები, რომლებსაც ჰქონდა მეტი შემოსავალი, დაეხმარებიან ნაკლებშემოსავლიან ორგანიზაციებს და შესაბამისად, თანხა დაბალანსდება ისე, რომ მუნიციპალიტეტს ცალკე თანხის გამოყოფა არ

მოუწევს. გარდა ამისა, ცენტრალიზებულად მოხდება სხვადასხვა ტიპის სამსახურების მუშაობა, რაც ორგანიზაციაში შექმნის უფრო მოქნილ სისტემას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N72-ში მდებარე 64.15 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.056.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 64 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N14დ-ში, გახოკიძის ქუჩაზე, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N16ბ-ში, გახოკიძის ქუჩა N14ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.217, N01.19.19.005.062, N01.19.19.005.064, N01.19.19.005.007, N01.19.19.005.212) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 466 კვ.მ. ფართის გადაცემა ათი ოჯახისთვის, რომლებიც 2006-11 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N10-ში მდებარე 81.30 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.036.076.01.01.023) და ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N10-ში მდებარე 44.80 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.036.076.01.01.032) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კ2 კოეფიციენტის მატების ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული ფართების რეალიზაციის საკითხი. ამ შემთხვევაში, ზემოთ ხსენებული უძრავი ქონება ორჯერ იყო აუქციონზე გატანილი, თუმცა არ გაიყიდა, რის შემდეგაც დეველოპერმა მოიმია მყიდველი და ამ ეტაპზე წარმოდგენილია ილორის ქუჩაზე მდებარე ორი ფართის, 15%-იანი ფასდაკლებით, გასხვისება ფიზიკურ პირზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.018.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 48 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, სოფელ წინუბანში, იალნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513.05.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 105 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1997 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.01.544) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 79 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1999 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, ნუშის ქუჩის მე-2 ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 883 კვ.მ. ფართის გადაცემა თხუთმეტი ოჯახისთვის, რომლებიც 2009-11 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.003.04.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 78 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, მე-8 კვარტლის კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.007.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 83 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.038.028.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 88 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის N93ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.053.01.529) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 35 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის I კვარტლის კორპუს „ბ“-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.006.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 43 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 1415 კვ.მ. ფართის გადაცემა ოცდაერთი ოჯახისთვის, რომლებიც 2007-08 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 დეკემბრის N577 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 დეკემბრის N577 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს მოქალაქისთვის გადაცემული ჰქონდა ფართი, თუმცა, მან ვერ მოახერხა ხელშეკრულების გაფორმება სამ თვეში, ამასთანავე, შეიცვალა გვარი და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულებაში ცვლილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩა N70-ში (იგივე გამსახურდიას გამზ.N5) მდებარე შენობის მე-2 სართულზე, ლიტერი „ა“-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 360.03 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.031.006.06.514) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ წყნეთში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1, სადაც დაშვებულია სამშენებლო განვითარება. თუმცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, ხსენებულ ტერიტორიაზე ბევრი ხე-ნარგავები და გამწვანებული სივრცეა. ამასთანავე, აღნიშნულ ტერიტორიას, 2014 წელს, გენ.გეგმამ დაადო სატყეო ზონა. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთებს შორის ფასთა სხვაობა არის კერძო მესაკუთრის სასარგებლოდ, რომლის მიღებაზეც მესაკუთრე უარს აცხადებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩა N3-ის მიმდებარედ 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.03.028.010); ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩა N3-ის მიმდებარედ 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.15.03.028.006) და ქ.თბილისში, აკადემ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 6754 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.133) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია წყნეთში, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში გაცვლის საკითხი, რაც გამოუწვეულია იმავე მიზეზით, რაც წინა მონაცვლეობის შემთხვევაში და აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც მიწის

ნაკვეთებს შორის ფასთა სხვაობა არის კერძო მესაკუთრის სასარგებლოდ, რომლის მიღებაზეც მესაკუთრე უარს აცხადებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„მზიანისთვის" (ს/კ.: 404488121) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ზემოთ ხსენებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია შშმ პირებზე ორიენტირებული კაფე და ამასთანავე, ა(ა)-იპ „მზიანს" აქვს მათთვის გარკვეული ღონისძიებების მოწყობის ვალდებულება. რეალური მდგომარეობით, ხსენებული უძრავი ქონების უზუფრუქტის ფორმით გადაცემა ა(ა)იპ „მზიანისთვის" ხდება ორ წელიწადში ერთხელ, იქიდან გამომდინარე, რომ ა(ა)იპ არ ახორციელებს ინვესტიციის ჩადებას და უფრო ხანგძლივი ვადით გადაცემის უფლება არ აქვს მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N2-6-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1695 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.14.012.041) ტერიტორიიდან 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კრაფტსიტისთვის" (ს/კ.: 405474311) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 2026 წლის 29 ივლისამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 3240 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქ.N88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ.: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კორექტირების საკითხი, რაც გამოწვეულია მიწის ნაკვეთის 24 კვ.მ.-თი შემცირებით და აქედან გამომდინარე, პროპორციულად მცირდება წლიური საიჯარო ქირაც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ოლეგი ზაბახიძეს (პ/ნ. 38001000396) (უფლებამონაცვლე: ფ/პ ხათუნა გრძელიშვილი, პ/ნ. 38001008104) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2013 წლის 17 ივლისის №-208-9-7535 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აუქციონის პირობის თანახმად, მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა შეზღუდვა მშენებლობის უფლების გარეშე, თუმცა, განმცხადებელმა ითხოვა აღნიშნული შეზღუდვის მოხსნა, რაზეც მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, რომ არა ეს პირობა, მიწის ნაკვეთის ღირებულება 2013 წელს იქნებოდა სხვა, დადგენილი იქნა დღევანდელი ფასთა სხვაობა და ამ პირობის მოხსნაში, კერძო მესაკუთრე გადაიხდის 287000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „ალფა ერისთავის“ (ს/ნ. 405462707) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, თ.ერისთავის ქ.N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში (ს/კ.: N01.12.08.037.106) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, შპს „ალფა ერისთავი“ 342783 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ გასარემონტებელ ობიექტების, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, თ.ერისთავის ქ.N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ობიექტზე

მიიღებს „კ“ ზღვრული მაჩვენებლის მატების უფლებას 4.6-დან 6.2-მდე, რაც ნიშნავს ერთი სართულის მომატებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქ.თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „პალა ინვესტ ჯგუფის“ (ს/ნ. 405507250) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაშლიჯვარი, სარაჯიშვილის ქუჩა, N5ა, (ს/კ.: N01.10.10.006.024) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, შპს „პალა ინვესტ ჯგუფი“ 82500 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ გასარემონტებელ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, სარაჯიშვილის ქუჩა, N5ა-ში მდებარე მშენებარე ობიექტზე მიიღებს კოეფიციენტის მატების უფლებას 4.6-დან 5.7-მდე, რაც ნიშნავს ორი სართულის მომატებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და ი.ბ.ა „კაპანელის 2“ მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, კონსტანტინე კაპანელის შესახვევი N1 (ს/კ.: N01.14.16.015.342) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, ი.ბ.ა „კაპანელის 2“ 37575 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ გასარემონტებელ ობიექტებს, ხოლო

სანაცვლოდ, კომპანია, ექვსსართულიან ობიექტზე მიიღებს ერთი სართულის მატების უფლებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და კახაბერ კობაივანოვის (პ/ნ. 01401124243) მიმართ მისამართებზე - 1. ქ.თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი N35 - ის მიმდებარედ, თბილისი ნუცუბიძის მიკრო/რაიონი IV, N4 და N5 კორპუსების მოპირდაპირედ, ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო რაიონი IV, კორპუსი N36, მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016, ს/კ.: N01.14.16.009.305) და 2. ქ.თბილისი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი N35 - ის მიმდებარედ, თბილისი ნუცუბიძის მიკრო/რაიონი IV, N4 და N5 კორპუსების მოპირდაპირედ, ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო რაიონი IV, კორპუსი N36, მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016, ს/კ.: N01.14.16.009.304) - არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, კახაბერ კობაივანოვი, 1312890 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" გასარემონტებელ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპუსი N36-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე მიიღებს „კ" ზღვრული მაჩვენებლის მატების უფლებას 2.5-დან 5.0-მდე და ამასთანავე, მაქსიმალური სართულიანობა განისაზღვრება 17 სართულამდე.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელი მშენებლობები არის სერიოზული პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ცდილობს მუნიციპალიტეტი, თუმცა არის კითხვა - „რას, რის ფასად ვაკეთებთ?" მისი თქმით, კახაბერ კობაივანოვი არის მმართველი პარტიის მსხვილი შემომწირველი და ამავდროულად, დედაქალაქის მერის ახლო მეგობარი, რომელსაც ვაძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ გაიორმაგოს კოეფიციენტი და ააშენოს იმ მოცულობის შენობა, რომლის მსგავსიც მიმდებარე ტერიტორიაზე არაფერი დგას. როდესაც ვმსჯელობთ ასეთი პროექტების მიზანშეწონილობაზე, ერთ-ერთი ყურადღებამისაქცევი საკითხია ის, რამდენად დგას ამა თუ იმ ობიექტის ირგვლივ მსგავსი ტიპის შენობები. მისი თქმით, მართალია ხსენებული პირი იხდის გარკვეულ თანხას დაუსრულებელი მშენებლობით დაზარალებულების დასახმარებლად და, რა თქმა უნდა, ეს ხელს შეუწყობს ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ კახაბერ კობაივანოვი გაცილებით დიდ შემოსავალს მიიღებს, ვიდრე სხვა ვინმე, ნებისმიერ, ჩვეულებრივ, კომერციულ პროექტში და ეს ადამიანი, რომ არ იყოს მმართველი პარტიის შემომწირველი და კახა კალაძის ახლო მეგობარი, ვერ ააშენებდა იქ ამ მოცულობის შენობას, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ უგულებელყოფილია პარკინგის წესები და ამ მოცულობის მშენებლობაზე, 100 საპარკინგე ადგილის ნაცვლად, აკეთებს 35 ავტოსადგომს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „მართლა არის ამ ქვეყანაში და ამ ქალაქში ვიღაცების უბედურება „ცენტრ პოინტი ჯგუფის" საკითხი, მაგრამ ამ უბედურებით,

არ უნდა მივცეთ საშუალება ხელი მოითბოს ვიღაცამ და ეს უბედურება გამოიყენოს, როგორც შესაძლებლობა“ და მიმართა საკრებულოს წევრებს - „არ უნდა მოვიტყუოთ თავი, რომ ეს არის რიგითი პროექტი, ეს არის ძალიან სერიოზული მავნებლობა და მე მგონია, არ უნდა მივცეთ ამის საშუალება“.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ არცერთი ასეთი მშენებლობა არ არის მოსაწონი და არავის უხარია, რომ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, ვუშვებთ გარკვეულ პრეფერენციებს და შესაბამისად, ყველა ასეთი გადაწყვეტილება არის კომპრომისული, რომლის ხარჯზეც ვაფინანსებთ 6500 ოჯახის უბედურებიდან გამოყვანას. მისი თქმით, თუ, ურბანისტებთან ერთად, განვიხილავთ ამ მიმართულებით დღემდე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ვნახავთ, რომ ჩვეულებრივ პირობებში, რა თქმა უნდა, მსგავსი მშენებლობების ნებართვებს არ გავცემდით. როდესაც 2019 წელს დაიწყო ამ პროექტზე მუშაობა, საუბარი იყო იმაზე, რომ მისი განხორციელება მომხდარიყო ბიუჯეტის სახსრებით, თუმცა, ქვეყანაში არსებული პანდემიიდან და შემცირებული ბიუჯეტიდან გამომდინარე, დადგა ის რეალობა, რომელმაც გამოიწვია იმ გადაწყვეტილებას მიღება, რომ სანამ ამ პრობლემას მოვაგვარებთ, გამონაკლისის სახით, ინვესტორებისთვის დავუშვათ ის პრეფერენციები, რასაც არც ერთ სხვა მშენებლობაზე არ დავუშვებთ. ლევან ჟორჟოლიანი ასევე, გამოეხმაურა გაჟღერებულ ინფორმაციას, რომ კახაბერ კობაივანოვი „ქართული ოცნების“ შემომწირველი და კახა კალაძის მეგობარია, და აღნიშნა, რომ არც ამ პიროვნებას იცნობს და არც ის იცის, ვისთან რა ურთიერთობა აქვს მას. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რომელი პარტიის შემომწირველია აღნიშნული პიროვნება, განაცხადა, რომ ნებისმიერი პარტიის შემომწირველს მისცემენ სამშენებლო პრეფერენციებს, თუ ის კომისიას წარუდგენს ისეთ პროექტს, რომელიც ქალაქისთვის იქნება „შედარებით ნაკლები ბოროტება“ და არ იქნება ძალიან მიუღებელი, რადგან არავინ ანსხვავებს ინვესტორებს მსგავსი ნიშნით.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ ზემოთ ხსენებულ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6, რომელიც ითვალისწინებს ყველაზე მაღალი ინტენსივობით განაშენიანებას და როდესაც ამა თუ იმ ტერიტორიაზე არსებულ კოეფიციენტს აჭარბებ, რა თქმა უნდა, მიიღებ შედარებით უფრო მაღალ შენობას. ამასთანავე, ინტენსივობის გადაჭარბებისას, ინვესტორს პრეფერენციები ეძლევა სხივის, პარკინგის და სხვადასხვა კუთხითაც. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, არაფერი დამატებითი და განსაკუთრებული შეღავათები არ არის მიცემული, რაც არ ყოფილა სხვა შემთხვევებში და ამის დასტურია საკრებულოს განკარგულებები, რომლებიც მიღებული იქნა ამ მიმართულებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული ხმათა უმრავლესობით.

30. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N 01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „კროიდონ დეველოპმენტის“ (ს/ნ. 405356092), მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, გუმათჰესის ქუჩა, კორპუსი N1-ის მიმდებარედ, (ნაკვ. 13/011); ქალაქი თბილისი, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძე, N2ბ, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში,

ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, შპს „კროიდონ დეველოპმენტი“ 33795 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ გასარემონტებელ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, გუმათჰესის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მიიღებს „კ“ ზღვრული მაჩვენებლის მატების უფლებას 2.5-დან 3.7-მდე, რაც ნიშნავს ორი სართულის მომატებას. ამასთანავე, გადამეტებულ ფართზე გათვალისწინებული არ იქნება შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი ნორმები, მიჯნის ზონის და ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და შპს „ლაქი ქონსთრაქშენის“ (ს/ნ. 405370708) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.N53 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.: N01.10.14.028.002) მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, შპს „ლაქი ქონსთრაქშენი“ 1263529 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ გასარემონტებელ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, სულხან ცინცაძის ქ.N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის მატების უფლებას 2.5-დან 3.5-მდე, რაც ნიშნავს ერთი სართულის მომატებას. ამასთანავე, გათვალისწინებული არ იქნება შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი ნორმები, მიჯნის ზონის და ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) -

არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) და პაატა ფოცხვერაშვილის (პ/ნ. 01021006262) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის II შესახვევი N7, წმინდა მოწამე ვასილისკოს ქუჩა N6, (ს/კ.: N01.14.05.008.400) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, პაატა ფოცხვერაშვილი 360423 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ გასარემონტებელ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის II შესახვევი N7, წმინდა მოწამე ვასილისკოს ქუჩა N6-თან არსებულ მშენებარე ობიექტზე მიიღებს კ2 კოეფიციენტის მატების უფლებას 1.5-დან 3.9-მდე, რაც ნიშნავს მაქსიმუმ 9-10 სართულიანი შენობის მშენებლობას. ამასთანავე, გათვალისწინებული არ იქნება შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი მოთხოვნები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა – 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა არქიტექტურის სამსახურის უფროსმა თემურ ბოლოთაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართის დაანგარიშებისას, აივნის ფართობი აღარ შევა საანგარიშო ფართში, თუმცა იქნება ჩამკეტი, რათა აივნების ჯამური ფართი არ იყოს კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართის 20%-ზე მეტი, ხოლო მეტობის შემთხვევაში, შევა საანგარიშო ფართში. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ სამშენებლო მიმართულებით მუდმივად ხდება გარკვეული რეგულაციების გამკაცრება და ახალი რეგულაციების შემოღება, აღნიშნული გამოწვეულია სამშენებლო სექტორის მცირედი სტიმულირებით.

საბა ბუაძე დაინტერესდა, რას ეფუძნება და რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დეველოპერებს ვუკეთებთ დამატებით საჩუქარს, რადგან ფიქრობს, რომ ეს არის დეველოპერებისთვის არასაჭირო საჩუქრის გაკეთება, რომელიც არაფრით არ არის არგუმენტირებული და თითოეულ მშენებლობას ვაძლევთ დამატებით რამდენიმე ასეული ათასი დოლარის გაკეთების შესაძლებლობას, რაც, მისი თქმით, არასწორია როგორც მორალურად, ასევე, პრაგმატულად და ეკონომიკურად და ამასთანავე, არ გააჩნია არანაირი მიზანშეწონილობა.

თემურ ბოლოთაშვილმა განმარტა, რომ ინფორმაცია არ არის სისტემატიზირებული და როგორც კი სამსახური დაამუშავებს სტატისტიკას, მიაწვდის ინფორმაციას.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების მისამართით დეველოპერების არაგონივრულ მხარდაჭერაზე საუბარი უხერხულია, რადგან სწორედ მათი მმართველობის პირობებში მიღებული იქნა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელმაც შეზღუდა მანამდე სამშენებლო მიმართულებით არსებული ქაოსი; გაოთხმაგდა მშენებლობის მოსაკრებელი; ფასიანი გახდა სპეციალური ზონალური შეთანხმება, რომელიც წლების მანძილზე გაიცემოდა ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე და სხვა მრავალი რეგულაცია იქნა შემოღებული ამ მიმართულებით და ამასთანავე, დაგეგმილია კიდევ დამატებითი რეგულაციების შემოღება. ყოველივე აღნიშნულიდან

გამომდინარე, ეს არის არა საჩუქარი, არამედ რაციონალური გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ დეველოპერებმა ხელოვნურად არ შეამცირონ საზაფხულო ფართები, რაც ძალიან ბევრი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია.

ალექსანდრე რატიშვილმა განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, კ2 კოეფიციენტის დავალიანების მქონე კომპანიებისთვის დაწესდა დავალიანების ჩამოწერის გრაფიკი და გარკვეული კომპანიები სარგებლობენ ამ შეღავათით და დაინტერესდა, რამდენად შეესაბამება აღნიშნული სიმართლეს.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის დავალიანებებთან დაკავშირებით, ჩვენი ინიციატივით, პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომელიც ეხება მხოლოდ და მხოლოდ განწილვადებას, რაც შესაძლებელი იყო 2020 წლის პირველ იანვრამდე და ვინც ვერ მოასწრო, ან განაწილებულის, ან არსებული დავალიანების გადახდა, ყველას აქვს სასამართლო პროცესი მერიასთან. ამასთანავე, კომპანიების უმრავლესობა, ვერ ამთავრებს მშენებლობას ან ვერ იღებს ახალ, კორექტირებულ, ნებართვას მხოლოდ იმიტომ, რომ კ2 კოეფიციენტის მოსაკრებელი არ აქვს გადახდილი, თუმცა აქვს შესაძლებლობა დაამთავროს დაწყებული მშენებლობა და ქალაქში აღარ იყოს დაუსრულებელი სამშენებლო კონსტრუქციები.

თემურ ბოლოთაშვილმა განმარტა, რომ გაჩნდება ამ თანხების ამოღების მექანიზმი და იქიდან გამომდინარე, რომ ამ კომპანიებსა და მერიას შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა, მათ აქვთ მოსაკრებლის გადახდის მზაობა, თუმცა, ერთიანად ვერ ახერხებენ თანხის მოცულობიდან გამომდინარე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დავალიანება განაწილდება პროპორციულად და კომპანიებს ყოველთვიურად გადასახდელი ექნებათ ერთი და იგივე თანხა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032210976-03 თარიღი: 19.04.2022, N12-032211963-03 თარიღი: 29.04.2022, N12-032211967-03 თარიღი: 29.04.2022, N12-0322124110-03 თარიღი: 04.05.2022 და N12-0322124149-03 თარიღი: 04.05.2022, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032211963-03 წერილით წარმოდგენილი „ბ“, და „დ“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში, ფერმწერთა ქუჩა, N143; N145 ; N147; N149-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.16.009.446; N01.14.16.009.442) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება ოთხი, ოთხსართულიანი შენობა-ნეგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ვახტანგ თედიაშვილის ქუჩა, N24, N26, N22, N28, N28ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.486; N81.02.21.031; N81.02.21.487; N81.02.21.341; N81.02.21.340; N81.02.21.342) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 8500 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება შვიდი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

37. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ე.წ. „ნუში ბაღის ტერიტორიაზე“ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.010.252, N01.20.01.010.134, N01.20.01.010.260, N01.20.01.010.448, N01.20.01.117.164, N01.20.01.010.196, N01.20.01.010.118, N01.20.01.010.172, N01.20.01.010.259, N01.20.01.010.449) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 5700 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება მაქსიმუმ სამსართულიანი, ერთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

38. „ქალაქ თბილისში, სამრეწველოს დასახლება N334, N337ა, N336, N336ა, N332ა; ქალაქი თბილისი, გიორგი მდივნის ქუჩა N16, N20, N22; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N29თ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის დასაწყისში, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.005.028; N01.17.11.005.031; N01.17.11.005.025; N01.17.11.006.045; N01.17.11.005.035; N01.17.11.005.032; N01.17.11.005.005; N01.17.11.005.034; N01.17.11.005.033; N01.17.11.005.038; N01.17.11.005.037; N01.17.11.005.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტისდამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 24000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება 17 სართულიანი მრავალფუნქციური შენობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

39. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი საცხოვრებელ რაიონში, (ნაკვეთი N003/001), დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი N03/006), არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.003.356, N01.10.07.003.074, N01.10.07.003.359, N01.10.07.003.372, N01.10.07.003.058, N01.10.07.003.344) საცხოვრებელი უბნის (საუნივერსიტეტო დასახლების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის N1360523 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება ორ სექტორს, კერძოდ: სექტორ N1-ს გამოეყოფა 1781 კვ.მ. და განვითარდება საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით; სექტორ 2-ს გამოეყოფა 1860 კვ.მ. და საცხოვრებელი კორპუსის ნაცვლად, განთავსდება კომერციული დანიშნულების შენობა, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 2-3 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

40. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში წავკისში, კოჯრის გზატკეცილზე არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N210 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 22000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია ტექნიკური ხარვეზის გასწორება, რომელიც გულისხმობს სექტორ 40-ში კ2 მაჩვენებლის ცვლილებას. კერძოდ, ტერიტორია ვითარდება საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით და მე-40 სექტორში, კ2 კოეფიციენტი 0.4-ის ნაცვლად, მიეთითება 1.5.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

41. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, ტაბახმელაში, ოქროყანის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.01.004.004), მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 12 ოქტომბრის N2915 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 61000 კვ.მ., სადაც, ერთ საკადასატრო ერთეულზე, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ერთი მთავარი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ე.წ. „ვილა რეზიდენსის" და ექვსი დამხმარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

42. „ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N29, ნაკვეთი N4/139; ქალაქი თბილისი, კოსმონავტების სანაპირო N51ბ/N47-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.139, N01.13.05.004.058, N01.13.05.004.059) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ აღნიშნული ეხება შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობის პროექტს, სადაც საკრებულოს განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, წარმოდგენილია გრგ-ს კორექტირება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

43. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.21.003.134; N01.19.21.003.145; N01.19.21.003.141; N01.19.21.003.154) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული,სასაწყობე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N116 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია შენობა-ნაგებობების განთავსების ცვლილება, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

44. „ქალაქ თბილისში, ყოფილი დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.006.010; N01.72.14.006.007; N01.72.14.006.009; N01.72.14.006.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 6500 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია ექვსი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

45. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.36.040; N81.02.11.984; N81.02.11.583; N81.02.11.520; N81.02.36.050; N81.02.36.059; N81.02.11.757; N81.02.06.628; N81.02.11.449; N81.02.11.613; N81.02.36.049; N81.02.36.036; N81.02.93.274; N81.02.36.077; N81.02.36.011; N81.02.93.045; N81.02.11.689; N81.02.11.477; N81.02.36.039; N81.02.00.105; N81.02.93.249; N81.02.11.985; N81.02.93.248; N81.02.36.052; N81.02.11.439; N81.02.36.033) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 33000 კვ.მ., სადაც, სარეკრეაციო ზონა 3-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ოცდაოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია სამი სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

46. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2; ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ის მიმდებარედ (ნაკვეთი: 08/081) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.06.008.089; N01.14.06.008.349; N01.14.06.008.350) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 46000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია არსებული შენობის დემონტაჟი და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანება, რომელიც შედგება 4 ბლოკისგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

47. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „ჩალიპირებში"; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ავთანდილის ქუჩა, N72,N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.032.816; N01.72.14.032.817; N01.72.14.032.888; N01.72.14.032.887; N01.72.14.032.889; N01.72.14.032.639; N01.72.14.032.502; N01.72.14.032.890; N01.72.14.032.261; N01.72.14.032.638; N01.72.14.032.448; N01.72.14.032.159; N01.72.14.032.161; N01.72.14.032.260; N01.72.14.032.503; N01.72.14.032.485) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 19000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ოცდაერთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

48. „ქალაქ თბილისში, არჩილ ქურდიანის ქუჩა N13, N13ა, N15, N15ა, N17, N19; ქალაქი თბილისი, სლავა მეტრეველის ქუჩა N14, N14ა, N14ბ, N12, N10, N8, N13ა, N6, N6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.07.017.033, N01.13.07.017.056, N01.13.07.017.057, N01.13.07.017.034, N01.13.07.017.037, N01.13.07.017.015, N01.13.07.017.022, N01.13.07.017.066, N01.13.07.017.067, N01.13.07.017.005, N01.13.07.017.008,

N01.13.07.017.011, N01.13.07.017.061, N01.13.07.017.062) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 5400 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ერთი, მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 12 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

49. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტისა და ჩამოსაწერი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 6 დადგენილება და 43 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი